პოეტს

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო. პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,
მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიჟინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?

მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.
იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი,
დაგვანახვე ველნი, ბორცვნი და მთანი;
მაღლა ზეცა, ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;
მთლად ბუნება, დიდი, გასაკვირველი.
ველნი, ბორცვნი ტურფად იფურჩვნებოდნენ,
წვერნი მთათა ცის კარს ებჯინებოდნენ;
ცის კამარა ბრწყინავდეს მნათობთ სხივით,
ან გრგვინავდეს ელვითა და ქუხილით:
კაშკაშებდეს მზის სხივითა ზღვის გული,
თვის ნაპირზედ მშვიდად მიძინებული:
ან მრისხანე ცაში ზვირთებს ისვრიდეს
და თვის მკერდზედ ნავთ ხომალდებს მუსრვიდეს.
დაგვანახვე დიდებული ბუნება,
იმის დიდი მრავალგვარი შვენება.

*

სხვანიც დიდნი საგანნი გაქვს, პოეტო:
გმართებს ძველ დროთ გმირნი გამოგვიხატო,
მამულისთვის მათ ბრძოლა საშინელი,
ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ველი.

*

დაგვანახვე ასული მშვენიერი,
სახეს უჩნდეს გულის ჭმუნვა ძლიერი,
იყოს ვარდი, ავდრისგან ფერმიხდილი,
და ყვავილი, ქარისგან თავმიხრილი.
ნაზი, ტურფა, მშვიდი და წმინდა გული,
მაგრამ მთელის არსით შეყვარებული.

მისი სატრფო შორს შავს ბედთან იბრძოდეს;
მშვენიერი ცხარის ცრემლით იღვროდეს;
შილლერისას ჰგვანდეს ამალიასა,
ან შექსპირის ციურს ოფელიასა.

შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია:
დაგვანახვე. რით სწუხს, რით ხარობს გლეხი:
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი...
და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვჭირს ავი,
სიზარმაცე და უმეცრება შავი
რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,
ან ლოპიანს, ან დიმიტრი ონიკოვს?
ჩემი გული სხვა გვართ სურათებს ითხოვს.
მაინც ამ ხმით ვცდი, როსმე რამ გიამბოთ,
მდაბიური,დიქნება, ზოგთ გიამოთ.
1884 წ.